ავტობიოგრაფია

მე, ქეთევან სტურუა დავიბადე 1991 წლის 20 აპრილს ქალაქ თბილისში. 1997 წელს დავიწყე სწავლა სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2009 წელს. ამავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2013-2015 წლებში ვსწავლობდი ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად დავიწყე სტაჟირება ქალაქ თბილისის მერიაში. კერძოდ, თბილისელების ადვოკატში. ამასთანავე, პრაქტიკა გავიარე თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის აპარატში. 2014 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით ვმუშაობდი სს „თიბისი ბანკში“ საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე. პროფესიული ზრდისთვის და განვითარებისთვის 2016 წლის 28 ნოემბრიდან მუშაობა დავიწყე სს „ტერაბანკში“. იურიდიული, კორპორატიული მართვის და რეგულაციებთან შესაბამისობის განყოფილებაში. კერძოდ, სასამართლოებთან ურთიერთობის ჯგუფის იურისტის პოზიციაზე. კარიერული წინსვლისთვის 2020 წლის 9 მარტიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე, დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის მდივნის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლისა და 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის მდივნის პოზიციიდან გავთავისუფლდი და დავინიშნე ამავე სამსახურის მოსამართლის თანაშემწის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2023 წლის 11 ივლისიდან პირადი განცხადების საფუძველზე, გავთავისუფლდი თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაკავებული თანამდებობიდან. 2023 წლის 11 ივნისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში. 2023 წლის 11 ივლისს ჩავირიცხე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, სადაც ვსწავლობდი 2024 წლის 11 ნოემბრამდე.

ამასთან, ავღნიშნავ, რომ მყავს მეუღლე და ორი შვილი.

თარიღი: 08.11.2024

ქეთევან სტურუა